41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ოზურგეთელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ოზურგეთის მერობის კანდიდატისა და ოზურგეთის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ოზურგეთის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ოზურგეთი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲗᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს, ოზურგეთის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 10 მლნ 321 ათასი ლარი იყო, 2021 წელს, საპროგნოზოდ საბიუჯეტო ხარჯების მუხლი 21,8 მლნ ლარს შეადგენს, იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 9 მლნ 900 ათას ლარს შეადგენდა, 2021 წლისთვის – 24,7 მლნ ლარია.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 3 პროექტი** განახორციელა (ჯამური ინვესტიცია 3 204 666 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 1 322 408 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 7 პროექტი (ჯამურად 735 230 ლარი), თანამონაწილეობა 293 292 ლარი. პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 327 ჰექტარზე განხორციელდა 187 პროექტი (ჯამურად 7 937 816 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 2 574 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 19 825 071 ლარი), რითაც 5 903-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. სტიქიით მიყენებული ზარალი ფერმერებს 448 988 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 16 კოოპერატივი (127 მეპაიე, კაპიტალი 301 262 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** სულ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 193 ჰექტარი (ინვესტიცია ჯამურად 468 760 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით** 187-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და, 2013-2021 წლებში, ჯამურად 36 973 446 ლარის მოცულობის პროექტები დაფინანსდა (თანამონაწილეობა 6 394 490 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 10 პროექტი (ჯამურად 425 592 ლარი, თანადაფინანსება 170 237 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** და შესყიდულია 39 080 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 19 540 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე განხორციელდა 13 პროექტი (460 072 ლარი, თანადაფინანსება 230 036 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 2 331 720 ლარი დაიხარჯა. დაშრობილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 1 420 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 4 782 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 23 550 ჰექტარი. შედეგად, მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს და სამომავლოდაც გაგრძელდება რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 საწარმო (ჯამურად 16 502 816 ლარი, დასაქმებულია 37 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 9 სასტუმროს მშენებლობას (ინვესტიცია 23 025 402, დასაქმდა 258 ადამიანი, ოზურგეთს 285 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 289 642 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 674 413 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 147 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 84, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 63 პროექტი).

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, **გურიის რეგიონში, 4 ჰიდროელექტროსადგური აშენდა** (ბახვი 3, ნაბეღლავიჰესი, საშუალაჰესი1 და საშუალაჰესი2), რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამურად 24,5 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება – 106 მლნ კვტ/სთ. **მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 12 ჰესი: ზოტი ჰესების კასკადი** – დადგმ. სიმძლავრე 46,07 მგვტ, ინვესტიცია 104 მლნ აშშ დოლარი; **ბარამიძე ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 7,8 მგვტ, 15 მლნ აშშ დოლარი; **გუბაზეული6 ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 3 მგვტ, 4,8 მლნ აშშ დოლარი; **ხევი ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ, 4,8 მლნ აშშ დოლარი; **გუბაზეული ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 8,5 მგვტ, 11,8 მლნ აშშ დოლარი; **ბახვი1 ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 16 მლნ აშშ დოლარი; **ბახვი-ჰესი 2** – დადგმ.სიმძლავრე 36 მგვტ, 30 მლნ აშშ დოლარი; **ნატანები 1** – დადგმ. სიმძლავრე 6,3 მგვტ, 7,1 მლნ აშშ დოლარი; **ნატანები 2** – დადგმ.სიმძლავრე 10,1 მგვტ, 9,6 მლნ აშშ დოლარი; **ნატანები 3** – დადგმ.სიმძლავრე 9 მგვტ, 10,3 მლნ აშშ დოლარი; **მაკვანეთი ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,3 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი; **მაკვანეთი ჰესი 2** – დადგმ.სიმძლავრე 0,8 მგვტ, 1,5 მილიონი აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, ოზურგეთში, 7 925 აბონენტს **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** დაუმონტაჟდა. 2013-2021 წ.წ. **გაზიფიცირებულია** ჯამურად 18 171 აბონენტი. ხელისუფლების გეგმით 2021-2024 წ.წ. იგეგმება 11 სოფლის (გოგიეთი, ჯუმათი, ძირიჯუმათი, ბოგილი, იანეთი, დვაბზუ, ნასაკირალი, მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა) გაზიფიცირება (დამატებით 456 აბონენტი). 2019 წელს დასრულდა 18,7 მლნ ლარის **მაგისტრალური გაზსადენის** ქობულეთის განშტოების (ოზურგეთი, ლანჩხუთი, აბაშა, ქობულეთი) პროექტი.

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წ.წ., შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად, საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: **მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა**. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რეს-პუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

2020 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მზადდება ტყის მართვის გეგმა, ხოლო ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელდა 18 ჰექტარზე. 2018-2019 წლებში ტყის გაშენებისა და ბუნებრივი განახლების სამუშაოები განხორციელდა 25,4 ჰა ფართობზე. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 13 514 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; **გაგრძელდება** სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; **ხელისუფლების გეგმით,** 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მარშრუტების კვლევა, ბილიკების მარკირება, მოინიშნა სამთო-საფეხმავლო ბილიკები გომის მთაზე. პროექტით **„ღვინის გზა“** ასევე განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი. ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისთვის (გადამზადდა 400-მდე ადამიანი).

ოზურგეთისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია **კურორტ გომის მთის განვითარების კონცეფციის შემუშავება,** რომელიც საშუალებას მოგვცემს, გომისმთა საერთაშორისო მნიშვნელობისა და თანამედროვე ტურისტული სტანდარტების მქონე სამთო კურორტად ჩამოყალიბდეს, შესაბამისი მაღალი დონის ტურისტული ინფრასტრუქტურით. შესაბამისად, შემუშავდა კურორტ გომის მთის **მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.**

ტურისტული პოტენციალის გაძლიერების მიზნით, დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო-საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა, სანახავი ობიექტების რეკომენდირებული სიით; **ურეკსა და შეკვეთილში** დაიგეგმა და განხორციელდა **საბაზისო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები** განთავსების ობიექტების მომსახურე პერსონალისათვის; მიმდინარეობს მუშაობა ურეკისა და შეკვეთილის კომპლექსურ კვლევაზე; მიმდინარეობს მოლაპარაკებები **დაბა ნასაკირალში ბალნეოლოგიური კურორტის** რეაბილიტაციაზე. დაგეგმილია საზღვაო კურორტ **ურეკში ახალი ბულვარის მოწყობა.**

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

სოფლის მეურნეიბის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ანასეულის ბაზა

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ოზურგეთში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 31 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 8 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 16 ხიდს, რაზეც 6 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 30,3 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

მუნიციპალიტეტში დასრულდა **მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა.** აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად, 48 დასახლებულ პუნქტში 8 516 ოჯახს **მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე** წვდომა აქვს.

2014-2020 წლებში, ოზურგეთში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 15 მლნ ლარზე მეტით დაფინანსდა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, 32,5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება (დამატებით 8 000-ზე მეტი ოჯახი). **დაგეგმილია ან უკვე მიმდინარეობს წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:** ქ. ოზურგეთის, ანასეულის უბნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (6 398 549 ლ); სოფლების (ვაკიჯვარი, ბახვი და ცხემლისხიდი) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (6 795 379 ლ); დაბა ურეკში „წვერმაღალას“, „წერეთლის“, „სანერგეს“ უბნებისა და მე-13 ქუჩის წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტირება/მშენებლობა (5 414 414.00 ლ); ქ. ოზურგეთში ცენტრალური უბნების ნაწილის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია (988 248 ლ); სოფელ ნატანების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა (3 705 182 ლ); სოფლების (ცხემლისხიდი, დვაბზუ და მშვიდობაური) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება/მშენებლობა (9 438 838.00 ლ).

2021-2022 წლებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ.ოზურგეთში, სანაპიროს ქუჩაზე გარეგანათების მოწყობა – 360 000 ლ;
- შეკვეთილი-ურეკის განათების მოქმედი ძელის რეაბილიტაცია – 307 188 ლ;
- სოფ.ლიხაურში (აჭის უბანი) გარეგანათების მოწყობა – 23 000 ლ;
- დაბა ლაითურში II-IV რაიონების გარეგანათების მოწყობა – 9 432 ლ;
- ქ. ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაცია – 508 994 ლ;
- სოფ. კონჭკათში (კატისციხის უბანი) ცენტრალური გზიდან მთავარანგელოზის სახელობის მონასტერთან მისასვლელი გზის მოწყობა – 473 998 ლ;
- სოფ. მელექედურში შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 307 995 ლ;
- სოფ. ციხისფერდი-გურიანთის შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 1 699 900 ლ;
- სოფ. ძიმითში შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 748 998 ლ;
- სოფ. ნატანებში (კაპროვანი) ასფალტობეტონის გზის რეაბილიტაცია – 984 110 ლ;
- სოფ. მაკვანეთში (ჭალის უბანი) გზის რეაბილიტაცია – 678 606 ლ;
- სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან, ეკალდიდი–დონაურის გავლით, ნატანების ცენტრალურ გზამდე, გზის რეაბილიტაცია – 2 359 000 ლ;
- შეკვეთილის სასოფლო შიდაგზების რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 1 389 983 ლ;
- სოფ. გურიანთა, სასოფლო შიდაგზების რეაბილიტაცია – 512 439 ლ;
- სოფ. დვაბზუ, სასოფლო შიდაგზის რეაბილიტაცია – 209 606 ლ;
- სოფ. ბოხვაური სასოფლო შიდაგზის რეაბილიტაცია – 211 436 ლ;
- სოფ. ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტება – 390 329 ლ;
- სოფ. ხვარბეთში სასოფლო შიდაგზის რეაბილიტაცია – 1 089 980 ლ;
- დაბა ნასაკირალში სასოფლო შიდაგზის რეაბილიტაცია – 760 673 ლ;
- ქ. ოზურგეთში, ბესიკის ქ. I შეს. რეაბილიტაცია – 267 223 ლ;
- ქ. ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის ქ. I შეს. მოასფალტება – 300 526 ლ;
- ქ. ოზურგეთი, დამენიას ქ. მოასფალტება – 88 961 ლ;
- სოფ. გაღმა დვაბზუ-დაბა ნასაკირალის I რაიონის დამაკავშირებელი შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია – 579 580 ლ;
- ლიხაური-მაკვანეთის შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 1 380 410 ლ;
- ქვემო ნატანების (მე-17 ბრიგადა) სასმელი წყლის შიდაქსელის მოწყობა – 163 736 ლ;
- სოფ. სილაურში ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობა – 382 910 ლ;
- სოფ.ჭახვათაში ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობა – 399 815 ლ;
- სოფ.ვაკიჯვარში ახალი სახიდე გადასასვლელების მოწყობა – 1 257 663 ლ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ: „ᲮᲛᲐ ᲛᲘᲔᲪᲘᲗ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ!“

„ᲠᲝᲪᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ, ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲔᲡ ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲘ... ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ“, – ᲐᲡᲔ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲐ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲖᲣᲡᲢᲐᲓᲐᲪ ᲘᲪᲘᲡ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲐᲓ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲥᲪᲘᲝᲡ. ᲛᲔᲠᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚ-ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ 8-ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲐᲜᲘ �გᲔᲒᲛᲘᲗ ᲛᲝᲓᲘᲡ. �გᲔᲒᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲝᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲘᲛ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲨᲔᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ ᲓᲒᲐᲡ.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲕᲘᲛᲮᲔᲚᲡ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲚᲐᲦ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ:

– ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ – ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲘᲮᲐᲣᲠᲨᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲭᲖᲔ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝᲓ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ, ᲗᲔᲕᲖᲝᲑᲐ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲔᲑᲘ... ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲓᲠᲝ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ. ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲝᲠᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲚᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲡᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲘᲡᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ Ს�წᲐᲕᲚᲐ ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ, Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗ: ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲛᲐᲥᲕᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲪ – ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲛᲔᲓᲘᲐᲚ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲐᲚᲘᲐᲜᲡ ᲛᲔᲓᲘᲡ“ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

– ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘᲡ�გᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ – ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, �თᲣᲜᲓᲐᲪ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲬᲝᲠ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ?

– ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ �წᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ. ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ �გᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲬᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ �გᲐᲓᲐᲓᲒᲐ – ᲐᲩᲕᲔᲜᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ �გᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ �გᲐᲓᲐᲘᲓᲒᲐ. ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐ�წᲕᲓᲝᲛᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲤᲘᲡᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲛ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲖᲔ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲑᲡᲘᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲙᲔᲢᲔᲑᲛᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲪ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ – ᲑᲝᲚᲝ 7 ᲗᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 12%-ᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲪ ᲘᲛᲔᲓᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘᲐ.

– ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲡ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲘᲗ. ᲠᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ?

– ᲓᲘᲐᲮ, ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲘ ᲡᲐ�გᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲡ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ, �გᲐᲐᲩᲜᲘᲐ 78 ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ 28 ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ. ᲪᲔᲜᲢᲠᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ 7200-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ. ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲗ: ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲔᲗ 75 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ; ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲞᲐᲠᲙᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ; ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲐ 160%-ᲘᲗ.

ᲰᲧᲐᲕᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ.

მოძახებაზე, პირადად ვიყავი ჩართული პროცესში მოქალაქეების დასახმარებლად. მინდა, მოვუწოდო ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, რომ გაიკეთონ ვაქცინა, ატარონ პირბადე და დაიცვან უსაფრთხოების წესები. ამ შემთხვევაში, მჯერა, რომ შევძლებთ, ეპიდვითარება დავასტაბილუროთ. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სამედიცინო პერსონალს და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ყველა თანამშრომელს – ისინი პანდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე არიან. ჩვენ, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ კოვიდ-19 თან ბრძოლაში.

– ოზურგეთის მერობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ“ დაგასახელათ. რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ?

– მიმაჩნია, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე უკეთ შეძლო ადამიანის უფლებების დაცვა და ადამიანი დააბრუნა სახელმწიფოს ცენტრში, დაიცვა მშვიდობა და სტაბილურობა ქვეყანაში, უზრუნველყო საკუთრების უფლების დაცვა და ბიზნესის თავისუფლება, გასწია მოცულობითი სამუშაო ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განახლების კუთხით, ხელშესახებ წარმატებებს მიაღწია ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობებში – ამის მაგალითია ასოცირების ხელშეკრულება და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან, უვიზო მიმოსვლა, სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება აშშ-სთან. რაც მთავარია „ქართულმა ოცნებამ“ აჩვენა ეროვნული ღირებულებების ერთგულება და პატივისცემა. შესაბამისად, ამ გუნდის კანდიდატობა ჩემთვის მნიშვნელოვანია. აქამდე არჩევით თანამდებობაზე არასოდეს მიმუშავია, თუმცა ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს გამორჩეული პასუხისმგებლობა და დიდი პატივია ნებისმიერი ადამიანისთვის. რა თქმა უნდა, მივიღე გუნდის შეთავაზება – თავს მოვალედ ვთვლი, ჩემს მშობლიურ ქალაქს და საზოგადოებას ვემსახურო და ოზურგეთს მადლობა საქმითა და წარმატებული პროექტებით გადავუხადო. ნდობისთვის მადლობას ვუხდი „ქართული ოცნების“ ლიდერებს და ჩვენს მხარდამჭერებს.

– თქვენი აზრით, გუნდის მიერ ნდობის გამოცხადებისას თქვენი ძმის ფაქტორმაც შეასრულა გარკვეული როლი?

– ძმა ყველა ადამიანისთვის ძლიერი მხარეა, მით უმეტეს, როცა იგი წარმატებულია. ჩვენ გვეამაყება, რომ გუნდი, საზოგადოება და მეგობრები გვენდობიან და ამ ნდობას, რა თქმა უნდა, ორივე ვუფრთხილდებით. არჩილისგან ბევრი რამ ვისწავლე და ჩემთვის ის ყოველთვის სამაგალითო იყო ინოვაციურობის, გუნდური თამაშის, განათლებისა და დიპლომატიის კუთხით.

– ძმისგან ისიც ისწავლეთ, რომ „შავი პიარი“ პოლიტიკის თანმდევია და ზოგადად, ბატონ არჩილთან პოლიტიკურ საკითხებს ხშირად განიხილავთ?

– ვინაიდან უკვე წინასაარჩევნო კამპანიას ვატარებ, მე და ჩემ ძმას ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს პოლიტიკურ საკითხებზე. რაც შეეხება დეზინფორმაციას და „შავ პიარს“, როგორც წესი, სიმართლით ვპასუხობთ. პოლიტიკაში ასეა: თუ ტყუილს 24 საათში არ უპასუხე, შეიძლება ადამიანებმა ის სიმართლედ მიიღონ.

– უკვე ისაუბრეთ იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში ზოგადად ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. ბოლო წლებში, კონკრეტულად ოზურგეთში რა შეიცვალა სასიკეთოდ?

– ოზურგეთში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ათეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა ბოლო წლების განმავლობაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის, მისი ოჯახისა და ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერა ოზურგეთის და ზოგადად, გურიის მიმართ – მისი მხარდაჭერით შავიზღვისპირა ოზურგეთი სრულიად ახალი დატვირთვის, ეკონომიკისა და ტურისტული მიზიდულობის მატარებელი გახდა.

– ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ხელისუფლებისთვის რეგიონული განვითარება პრიორიტეტია?

– რეგიონების განვითარება ნამდვილად არის ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი – ამას საბიუჯეტო მონაცემები და განხორციელებული პროექტები ადასტურებს. მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტის გაკეთება იგეგმება და ამას მოქალაქეები თავად დაინახავენ.

– რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს ოზურგეთელები და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– კარგად ვიცი, რა გამოწვევებია ჩვენს მუნიციპალიტეტში და ისიც ვიცი, რა გზები არსებობს მათ გადასაჭრელად. ჩემ უკან დგას ძლიერი და ერთიანი გუნდი, ცენტრალური ხელისუფლება და მჯერა, ერთად ყველა გამოწვევას გავუმკლავდებით. მოსახლეობის კეთილდღეობის ერთი გასაღები ძლიერ თვითმმართველობაშია. ჩვენ მაქსიმალურად გავაძლიერებთ თითოეულ სოფელს და შევქმნით განვითარებულ

ინფრასტრუქტურას; მოვაწესრიგებთ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემას; აქტიურად ვიმუშავებთ სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად; ვიზრუნებთ თანამოქალაქეების ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფაზე და საბინაო პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებაზე;

– გურიაში უმუშევრობა ერთ-ერთი გამოწვევაა. თქვენი ხედვა როგორია, მის საპასუხოდ?

– პროფესიული განათლების დაკავშირება შრომით ბაზართან; საინვესტიციო პროექტების მოზიდვა ოზურგეთში; სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის პოტენციალის სწორად გამოყენება; ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება ოზურგეთის განვითარებისთვის – ალბათ, პირველ რიგში ამ ამოცანებს გამოვყოფდი.

ამ ადგილობრივ არჩევნებში „ქართული ოცნება“ ოზურგეთის მერის არჩევნებში გამარჯვებას დაიბრუნებს. ოზურგეთის განვითარებისთვის, ჩვენ გვაქვს საინტერესო პროგრამა და 8–პუნქტიანი გეგმა.

– კონკრეტულად რას გულისხმობს ეს 8-პუნქტიანი გეგმა?

– ეს არის ის მიმართულებები, რომლებიც ჩვენთვის იქნება პრიორიტეტი: 1. დასაქმება – ახალი საინვესტიციო პროექტები, სტარტაპები ახალგაზრდებისთვის, პროფესიული განათლება; 2. წყალი – წყლით მომარაგების საკითხების მოგვარება; 3. ტრანსპორტი – თანამედროვე სატრანსპორტო სისტემა; 4. ინფრასტრუქტურის განახლება – შიდა გზები, ისტორიული ადგილები, სკვერები და საზოგადოებრივი სივრცეები, გაზიფიკაცია, კანალიზაცია, გარემოს ადაპტირება; 5. ღირსეული საცხოვრისი – საბინაო პრობლემების მოგვარება; 6. ეკოლოგია და გარემოს დაცვა – ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა; 7. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა – 4 პროდუქტი; 8. სპორტი ყველასათვის – სტადიონები, სპორტული წრეები.

მიღებული განათლებით და სამუშაო გამოცდილებით ვბრუნდები ოზურგეთში, რათა მშობლიურ მხარეს და ხალხს ვემსახურო. მე, ავთანდილ თალაკვაძე, პირობას გაძლევთ, რომ ჩემი ოზურგეთელების მხარდაჭერის შემთხვევაში, საჯარო სამსახურსა თუ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მიღებულ გამოცდილებას სრულად მოვახმარ ჩვენი ქალაქის და სოფლების, აქ მცხოვრები ადამიანების უკეთეს ხვალინდელ დღეზე ზრუნვას. ოზურგეთის მერიას ექნება პროგრესული და დემოკრატიული პოლიტიკა, რომელიც ხალხს მოემსახურება და ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლას უზრუნველყოფს. მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, რომ ჩვენი მხარე, ჩვენი ქალაქი და სოფლები კიდევ უფრო წარმატებული, განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი გახდეს.

– და რა უპირატესობა გაქვთ კონკურენტებთან შედარებით, რატომ უნდა დაგიჭირონ მხარი თქვენ და ზოგადად, რას ნიშნავს თქვენთვის ოზურგეთის მერობა?

– ოზურგეთში ჩემი მთავარი კონკურენტი ის პრობლემები და საჭიროებებია, რომელიც ოზურგეთის მოსახლეობას აწუხებს. რაც შეეხება ოპონენტებს, მათი მთავარი მიზანი არის, როგორმე პროცენტები დააკლონ „ქართულ ოცნებას“. ჩვენ პირველივე ტურში გავიმარჯვებთ ღირსეულად და დამაჯერებლად. რა თქმა უნდა იქნება დაძაბული კამპანია და აქტიურობისკენ მოვუწოდებ ჩვენს მხარდამჭერებს. მოვუწოდებ მათ, ხმა მისცენ ოზურგეთის განახლებას! ჩვენი ოპონენტებისგან და მათი პარტიული მედიისგან უკვე შეინიშნება აგრესია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, თუმცა ჩვენ თითოეულ მოქალაქესთან მივდივართ და ვაცნობთ ყველა იმ სიახლეს და პროექტს, რომლის შესრულებასაც ვგეგმავთ. მჯერა, რომ არჩევნების პირველივე ტურში გავიმარჯვებთ და არჩევნების დასრულებიდან არაუმეტეს ერთ თვეში, ქვეყანა მშვიდი და წყნარი განვითარების პირობებში დაბრუნდება.

ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია ოზურგეთის მერის არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ, კვლავ გავაერთიანებთ ყველას, ვისაც ჩვენი ქვეყნის, ქალაქის და ულამაზესი სოფლების მომავალი აინტერესებს და მზად არის, ამაში თავისი წვლილი შეიტანოს. ოზურგეთის მერობა ჩემთვის მხოლოდ თანამდებობა არ არის. ოზურგეთის განვითარებაზე ზრუნვა მხოლოდ სამსახურებრივი ვალდებულება არ იქნება. რამდენიმე წლის განმავლობაში საჯარო სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე ვმუშაობდი და ჩემი მთავარი პრინციპი და ამოსავალი წერტილი ყოველთვის ადამიანებზე ზრუნვა და მათ კეთილდღეობაზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება იყო. ამით ვამაყობ და ვაპირებ, რომ, სწორედ, ამ ღირებულებებზე დაყრდნობით, ოზურგეთელებთან ერთად შევქმნა ოზურგეთის წარმატებული ხვალინდელი დღე.

კანდიდატის „არაჩვეულებრივი მეუღლე“ და სამი შვილი

მათი ოჯახის ისტორია ათწლეულს ითვლის. ათვლის წერტილი კი იმ დღიდან იწყება, როცა ავთანდილ თალაკვაძემ და მაკა შავგულიძემ ბედი ერთმანეთს დაუკავშირეს და დაქორწინება გადაწყვიტეს.

ქალბატონი მაკა პროფესიით ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და ბიზნესის მართვის სპეციალისტია. არის სამკაულის საკმაოდ ცნობილი ბრენდის „ქრონოსის“ მფლობელი და კრეატიული დირექტორი.

წყვილს სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს: გაბრიელი, ნინა და ანდრია.

„ოჯახი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასია. მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და სამი შვილი“, – აცხადებს ბატონი ავთანდილი და იმასაც გვიმხელს, რომ მისი და მისი რჩეულის მიდგომაა, ოჯახის ყველა წევრი რაც შეიძლება დამოუკიდებელი, რეალიზებული და წარმატებული იყოს.

როცა ბატონი ავთანდილის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, მას მხარი დაუჭირა. დღეს, კანდიდატის ყველაზე გულწრფელი და მთავარი გულშემატკივარი ქალბატონი მაკაა. იცის, რომ მშობლიური მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილის შეტანა, ავთანდილ თალაკვაძისთვის მნიშვნელოვანია. იცის ისიც, რომ ბატონი ავთანდილი ყველაფერს გააკეთებს, რათა 4 წლის შემდეგ, ოზურგეთელებმა „საუკეთესო მერად“ მოიხსენიონ. ამის მთავარი მიზეზი კი, მისი პრინციპები, ოზურგეთის სიყვარული და დევიზია – ავთანდილ თალაკვაძე ყოველთვის ცდილობს, მისი ცხოვრება შვილებისთვის ისეთივე მაგალითი გახდეს, როგორი მაგალითიც მისთვის, მშობლების ცხოვრებაა.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 78 021 419 ლარი, დაფინანსდა 205 545 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (4 977 998 ლარით, 354 458 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (13 345 863 ლარით, 152 560 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (41 465 049 ლარით, 29 426 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (12 335 666 ლარით 12 512 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (3 434 602 ლარი, 5 751 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონოდასხივურითერაპია** (გამოიყო 3 584 204 ლარი, დაფინანსდა 5 557 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 7 760 ბენეფიციარი (432 254 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში,** 84%-დან 93,1%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ოზურგეთში,** სტაციონარული მკურნალობით 384-მა (1 092 300 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 3 372-მა პაციენტმა (373 939 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 8 703-მა (დაფინანსება 473 757 ლ), მედიკამენტები – 2 889 ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 3 531 პირი (776 426 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ოზურგეთში**, 2013-2021 წლებში სულ 1290 შემთხვევა 2 281 128 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 79 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების რემონტი/ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: მერია (1 670 ლ), ლიხაური (5 640 ლ), მელექედური (31 076 ლ), მთისპირი (8 025 ლ), თხინვალი (3 519 ლ), შრომა (ორმეთის) (3 491 ლ), ნაგომარი (2 783 ლ), სოფ. ოზურგეთი (86 591 ლ), შემოქმედი (18 704 ლ), ბოხვაური (49 237 ლ), ნარუჯი (54 433 ლ), ნატანები (59 289 ლ), დაბა ურეკი (43 935 ლ), დაბა ლაითური (4381,41 ლ), მაკვანეთი და ბაილეთი. **ამბულატორიის ახალი შენობის მშენებლობა სოფლებში**: კონჭკათი (109 950 ლ), გურიანთა (115 000 ლ), დაბა ნასაკირალი (105 000 ლ), ჭანიეთი (102 776 ლ). ქ. ოზურგეთი (ა. წერეთლის ქ.), გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის ახალი შენობის მშენებლობა (368 216 ლ), დაბა ურეკის „ემერჯენსის“ მშენებლობა, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, 2 509 000 ლარი.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 15 018 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2,3-ჯერ – 17 934 922-დან 40 946 864 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, (01.04.2021 წ. მდგომ.) სულ 258 803 180 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ოზურგეთში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 147 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,8-ჯერ – 211 821-დან 795 144 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 5 565 133 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. ოზურგეთში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 939 ოჯახია (01.04. 2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2,6-ჯერ – 2 240 ათასიდან 5 842 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-20121 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 35 449 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 7 927 ათასი, შშმ პირებზე – 3 069 ათასი, ბავშვებზე – 13 806 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ოზურგეთში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2 826 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,2-ჯერ – 790 114-დან 4 903 285 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 31 885 349 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 206 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, 73 216 ლარიდან 112 185 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 827 716 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 24 ოჯახი, მათ შორის, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 21 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 3 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ოზურგეთში, დაფინანსებულია 315 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 200 830 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 575 300 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე** – 4 727 267 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს ოზურგეთში ჩართული იყო 2099 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 2379. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში 2020 წელს ისარგებლა 511-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 561-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ოზურგეთში, 2020 წ. პროგრამაში ჩაერთო 807 პირი, 2021 წელს – 815 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა. მათ შორის: მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა, შშმ პირების დახმარების პროგრამა, 0-1 წლამდე ახალშობილთა დახმარება, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დახმარების პროგრამა, სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა, მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა, თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა, უკიდურესად შეჭირვებული ოჯახის მზრუნველობამოკლებულ პირთა ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევა და სხვა.) დაფინანსების პროგრამა, ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარების პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲑᲐ ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲨᲘ
600 ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲖᲔ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲐᲖᲔᲐ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ **2012 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ, 2,5-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. 4-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 2-ᲯᲔᲠ – ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, 5,3-ᲯᲔᲠ – ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ 2-ᲯᲔᲠ – ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ. ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲖᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲛ – 65%, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ – 120%-ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. 600 000-ᲛᲓᲔ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘᲗ.** 2019 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲗᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

2013-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ **ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲠᲔᲐᲑᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲡ** ᲛᲘᲖᲜᲘᲗ 427 ᲛᲚᲜ 789,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, 2017-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – 289 ᲛᲚᲜ 137,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ.

2012-2020 Წ.Წ. ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 68 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ 4 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 140-ᲛᲓᲔ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ **ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ**, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ „ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲡᲘᲞ – ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲓᲐ 91 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ 1300-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ.

2017-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 42 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ (ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, 19 ᲛᲪᲘᲠᲔᲙᲝᲜᲢᲘᲜᲒᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ) ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ 4 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲒᲔ�გᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 2 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 83 ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ „ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲡᲘᲞ – ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲓᲐ 41 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ 500-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ;

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ **608 ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ** ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ (ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ). ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ **145 ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘ**.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ **ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ** ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ. 2013 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲛ, ᲯᲐᲛᲨᲘ, 300 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲝ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ/ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ/ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ 100 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ. ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ 8 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲥᲚᲔᲚᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ 16 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲙᲐᲪᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲗᲐ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲐᲨᲔᲜᲓᲐ 2 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ. 10-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲗ�გᲐᲜ 4 ᲙᲝᲚᲔᲯᲨᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. 14 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ (FABLAB). 2021 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲐᲜ/ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ/�გᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ/ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲑᲘ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲡᲞᲨᲘ, ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ, ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ, ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ (�გᲝᲠᲐᲑᲔᲠᲔᲯᲒᲣᲚᲘ), ᲥᲔᲓᲐᲨᲘ, ᲤᲝᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲨᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 5 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ. 2018 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ „ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ �გᲐᲮᲐᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲡᲗᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲐ. ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲕᲐᲣᲩᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ; ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ; ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ �გᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲐᲖᲝ (9 ᲙᲚᲐᲡᲘ) ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲗᲐᲜ �გᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ; ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲖᲠᲓᲐᲡᲠᲣᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ-�გᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ; �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ ᲘᲜᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2,1-ᲯᲔᲠ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ** ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ:** ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ �გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ/ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ 30 000-ᲛᲓᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ; ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲯᲔᲑᲘ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲡᲞᲨᲘ, ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ, ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ, ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ (ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ), ᲥᲔᲓᲐᲨᲘ, ᲤᲝᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲨᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 5 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ. 2018 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60-ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ. 2019 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲔᲜ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ/ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ ᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ Ს�წᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲡ. 2019 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ/ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲡ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝᲜ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ.

2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 80%-ᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲗ **Მ

წელს – სოფ. ბაღდადის (250 000 ლარი), ჭანიეთის (397 777 ლარი) ბახვის (250 000 ლარი) საბავშვო ბარების მშენებლობა; **2016 წელს –** სოფ, ოზურგეთის (392 334 ლარი), სოფ. ცხემლისხიდისა (148 885 ლარი) და ბახვის (145 777 ლარი) საბავშვო ბაღების მშენებლობა; **2017 წელს –** ქ. ოზურგეთში №4 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები (520 463 ლარი); **2017-2018 წლებში** საქველმოქმედო **ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით,** საბავშვო ბაღი აშენდა დაბა ურეკში (1 მლნ 534, 6 ათასი ლარი). **2019 წელს –** აშენდა ახალი საბავშვო ბაღი (ნასაკირალი, დვაბზუ), საბავშვო ბაღებისთვის შეიძინეს ელექტროტექნიკა. 10 ბაღში მოწესრიგდა კვების ბლოკი და სველი წერტილები. მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ნაწილობრივი/სრული რეაბილიტაციის საერთო ღირებულებამ 721 486 ლარი შეადგინა. **2020 წელს –** გარემონტდა გურიანთის, ლაითურის №1 და №2 საბავშვო ბაღები. ბაღები მომარაგდა სათამაშოებითა და ლიტერატურით. ახალი სააღმზრდელო ჯგუფი გაიხსნა ლაითურის №1 და შრომის №1 ბაღებში. **სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ჩატარდა 18 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები**. **2021 წელს** – მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელ ხვარბეთში) საბავშვო ბაღისთვის განკუთვნილ შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 42 საჯარო სკოლა (მათგან ქალაქში – 5), სადაც 7 805 მოსწავლე, 1 016 მასწავლებელი და 50 სპეცმასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 2020 წლის მაისის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია **სსსმ 204 მოსწავლე.** 13 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 26 **მანდატური** იცავს.

ზოგადი განათლების სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განახორციელა არაერთი პროგრამა. მათ შორის: 2017-2020 წლებში, **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით**, გამოვლინდა 94 **ოქროსა** და 13 **ვერცხლის** მედალოსანი; **საჯარო სკოლის ტრანსპორტით** უზრუნველყოფის პროგრამით სარგებლობს 37 საჯარო სკოლის (151 მიმართულება) 3661 მოსწავლე; 11 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი.** 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებში 192 391 სახელმძღვანელო და რვეული დარიგდა. **პორტაბელური კომპიუტერი** გადაეცა 2 168 **პირველკლასელს,** 158 **დამრიგებელსა** და 138 **წარჩინებულ** მოსწავლეს; ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით, **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფილია** 5 სკოლა, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** – 39. **კორპორაციული სტანდარტის უსადენო ქსელით –** 2 სკოლა; 2018 წელს ჭიანეთის საჯარო სკოლას გადაეცა 10 კომპიუტერი; 2019 წელს ოზურგეთის 4 საჯარო სკოლას გადაეცა 71 კომპიუტერი; 2017-2019 წლებში, **სასკოლო აქტივობების** ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსდა 145 პროექტი.

2013-2020 წლებში, სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 101 პროექტი, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 საჯარო სკოლას. მათ შორის, **2013 წელს** განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 19 პროექტი, რაზეც სულ 718,4 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს –** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 14 სკოლას, რაზეც სულ 1 მლნ 876 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს –** საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 27 პროექტი სულ 1 მლნ 587,1 ათასი ლარით დაფინანსდა; **2016 წელს** – განხორციელდა სოფელ ჭანიეთის სკოლის სამშენებლო სამუშაოები (1 მლნ 485 ათასი ლარი). **სოფლების** -კონჭკათი (4,5 ათასი ლარი), ნაღობილევი (19 577 ლარი), სილაური (29 592 ლარი), შრომა (35 425 ლარი), ქ. ოზურგეთი №4 (23 455 ლარი), ბოხვაური (40 131 ლარი), კვირიკეთი (56 952 ლარი), დაბა ნარუჯი (7 548 ლარი), სოფ. ოზურგეთი (22 915 ლარი), შემოქმედი (7 847 ლარი), გურიანთა (97 776 ლარი), მთისპირი (4 676 ლარი), მშვიდობაური (47 135 ლარი), ვაკიჯვარი (14 750 ლარი), ნაგომარი (64 995 ლარი), ასკანა (88 447 ლარი), ლიხაური (15 758 ლარი), მერია (4 144 ლარი) მთისპირი (7 124 ლარი), ციხისფერდი (7 276 ლარი), ზემო ნატანები (34 620 ლარი), ნატანები (ახალშენი) (35 322 ლარი), ჯუმათი (იანეთი) (34 868 ლარი), გომი (27 661 ლარი), წვერმაღალა (25 401 ლარი), ქვედა ბახვი (2 232 ლარი), გაღმა დვაბზუ (2 798 ლარი), კონჭკათი (68 422 ლარი), ხრიალეთი (32 421 ლარი) – **საჯარო სკოლებში შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ 858 146 ათასი ლარი შეადგინა.**

2017 წელს – ოზურგეთის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 547,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **აშენდა** ახალი დაწყებითი სკოლა სოფელ ძიმითში (443,6 ათასი ლარი). 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. **2019-2020 წლებში –** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლას (I-II კორპუსი – 3 მლნ 200 ათასი ლარი), ასევე დაბა ლაითურის, სოფელ ბახვისა და ძიმითის საჯარო სკოლებს; ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სკოლას; გარემონტდა (მათ შორის, მოეწყო სველი წერტილები) ოზურგეთის №2, №3, №4, №5 სკოლები (5 მლნ 430 ათასი ლარი); სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ხრიალეთის საჯარო სკოლას (700 ათასი ლარი); დასრულდა სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის მშენებლობა (1 მლნ 200 ათასი ლარი); **2019 წელს სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაო ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის 17 სკოლას, სამუშაოების საერთო ღირებულებამ 860,4 ათასი ლარი შეადგინა. 2020 წელს –** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ **34 საჯარო სკოლაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების** ფარგლებში მოეწყო წყლის ავზები და ჭაბურღილები, ასევე, მოეწყო სველი წერტილები (საერთო ღირებულება – 989,4 ათასი ლარი).

2021 წელს – სოფელ შრომაში (ეკალდიდის უბანში) აშენდა (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლა (1 მლნ 187, 8 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი. დაიწყო 2019 წლის იანვარში და დასრულდა 2021 წელს). დასრულდა სოფელ ბახვის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სკოლის სრული რეაბილიტაცია (1 მლნ 100 ათასი ლარი); **მიმდინარეობს:** დაბა ნასაკირალში (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით), 600 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის ახალი შენობისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა (**7 022 440** ლარი, მგფ); სოფ. თხინვალისა და მერიის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია, (4 443 374 ლარი, მგფ); 2021 წლის სკოლების სახელმწიფო პროგრამიდან განხორციელდება სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა და მცირე სარემონტო სამუშაოები (166 943 ლარი).

2017-2021 წლებში ოზურგეთის საჯარო სკოლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, **13 სკოლას გადაეცა სასკოლო და სამედიცინო ინვენტარი,** ასევე **კომპიუტერული ტექნიკა;** მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს **28 ადაპტირებული სკოლა;** 17 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია **ცენტრალური გათბობით;** 2 სკოლაში ხორციელდება **ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა.**

პროფესიული განათლება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“, რომელიც სულ **12 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას** ახორციელებს (11 – მოდულური და 1 – დუალური).

2017-2019 წლებში, კოლეჯში ჩაირიცხა 900-ზე მეტი სტუდენტი; კურსი დაასრულა 1 112-მა სტუდენტმა; 2017 წელს პროფესიული განათლების კურსი გაიარა 5-მა მსჯავრდებულმა და ყოფილმა პატიმარმა;

2019 წელს სკოლებში პროფესიული უნარების კურსების/გაკვეთილების დანერგვის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 28 პროექტი განხორციელდა. ხოლო ჯამში – 89 პროექტი; 2020 წელს პანდემიის გამო პროცესი შეფერხდა.

2020 წელს პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად „ჰორიზონტი“ დაფინანსდა 873 ათასი ლარით.

2020 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 156 სტუდენტი, მათ შორის, 5 სსსმ პირი; საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროფესიულ პროგრამებში ჩართული იყო 325 სტუდენტი, მათ შორის, 12 სსსმ პირი; საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროფესიული პროგრამების კურსი დაასრულა 75-მა სტუდენტმა, მათ შორის, 4-მა სსსმ პირმა; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების კურსი დაასრულა 1-მა სტუდენტმა;

2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც **გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.** ამ ტიპის პროგრამები საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე სტუდენტებს კომპლექსურად განუვითარებს, როგორც პროფესიულ, ასევე ზოგად უნარებს. აღნიშნული ტიპის პროგრამებზე 2020 წელს კოლეჯში ჩაირიცა 38 აპლიკანტი.

2021 წლის მიღების ფარგლებში, კოლეჯს გამოცხადებული აქვს მიღება **12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.** მათ შორის ელექტროობა, ბაღის დიზაინი, კულინარიის ხელოვნება, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა. 2021 წლის მდგომარეობით, ოზურგეთში, ზრდასრულთათვის მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების 5 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

2017-2020 წლებში კოლეჯის პედაგოგებმა ტრენინგები გაიარეს შემდეგი მიმართულებებით: პედაგოგიური კურსი, სტრატეგიული დაგეგმვა, საწარმოში ტრენინგი.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- 2021-2022 წლებში 6-ჯგუფიანი საბავშვო ბაღის მშენებლობაზე სოფელ მერიაში ცენტრალური ბიუჯეტიდან **1 მლნ ლარი** დაიხარჯება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის დაგეგმილია: ახალი შენობების აშენება – შრომის №2, კონჭკათის, მთისპირისა და მერიის, ასევე ქ. ოზურგეთში, მ. კოსტავას ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღებისთვის.
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ოზურგეთში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2021-2023 წლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 22 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია დაფინანსდება – 1,5 მლნ ლარი; 2019-2022 წლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 32 პროექტზე 5 მლნ 902 ათასი ლარი დაიხარჯება; დაგეგმილია დაბა ურეკის (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) 450 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 7 მლნ 343,7 ათასი ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი/მგფ).
- 2020-2024 წლებში გაიზრდება არაფორმალური განათლების როლი ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლების პროცესში. მოსწავლეებისთვის შეიქმნება საინტერესო სასწავლო გარემო. ხელი შეეწყობა მოსწავლეებში ხელოვნების მიმართ ინტერესის მეტად გაღვივებას.
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- განვითარდება კოლეჯ „ჰორიზონტის“ ინფრასტრუქტურა – მოეწყობა თანამედროვე სახელოსნოები;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ა(ა)იპ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი, ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმი, მემორიალური მუზეუმი, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმი, 12 სასოფლო ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი (ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „იადონი“, მგალობელ მომღერალთა გუნდი „შემოქმედი“, ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“, ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ოცნება“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ურეკი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „აისი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბალავარი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხა“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ასკანელი“), ა(ა)იპ დაბა ურეკის კულტურის ცენტრი, კულტურის სახლები ლიხაურში, ჭანიეთში, მაკვანეთში, ბახვში, ნატანებში, შრომაში, ძიმითში, მთისპირში, დვაბზუსა და ასკანაში. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ოზურგეთის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 2 მლნ 418 ათასი ლარი იყო. 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით იგივე მაჩვენებელი განისაზღვრა 1 მლნ 503 ათასი ლარით.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. აღინიშნება ტრადიციული კალანდობის დღესასწაული (დვაბზუ), ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, კონკურსები (მათ შორის – ლიტერატურული), ეწყობა გამოფენები, მნიშვნელოვანი თარიღებისადმი (წიგნის საერთაშორისო დღე, მუზეუმების საერთაშორისო დღე და სხვ.) მიძღვნილი და სხვა კულტურული ღონისძიებები. იდგმებოდა სპექტაკლები, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი ყოველ კვირას მართავს უფასო წარმოდგენებს, საქველმოქმედო სპექტაკლებს საქველმოქმედო ასოციაცია „გურიის“ ბენეფიციართათვის, აქტიურად მონაწილეობს ქალაქის სხვადასხვა ღონისძიებაში.

2014-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: სოფ. ოზურგეთის კულტურის სახლის სახურავების შეკეთება, შემოქმედში ბიბლიოთეკის შეკეთება, დვაბზუში შალვა რადიანის სახლ–მუზეუმის რესტავრაცია, ნატანების კულტურის სახლის რემონტი, ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმის ფანჩატურის, სოლანისა და ეზოს კეთილმოწყობა, ლიხაურის კულტურის სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოები, მთისპირის კულტურის სახლისთვის მოთუთიებული თუნუქის მასალის შეძენა, სოფ. ოზურგეთის ადმინისტრაციულ შენობაში, კულტურის სახლში ოთახის შეკეთება, გაღმა დვაბზუში კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები, მთისპირის ბიბლიოთეკის ოთახის შეკეთება, ლიხაურში ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები, მაკვანეთში არტემ ერქომაიშვილის სიმღერა-გალობის მუზეუმის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, შემოქმედში ვ. სიმონიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, დვაბზუში შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის შეღობვა – რაზეც სულ 347,2 ათასი ლარი დაიხარჯა. **მათ შორის:**

2017 წელს – სოფელ შემოქმედში ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმის მშენებლობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 184,5 ათასი ლარი დაიხარჯა; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ძიმითის კულტურის სახლს (191 ათასი ლარი);

2018 წელს დასრულდა არტემ ერქომაიშვილის სახელობის სიმღერისა და გალობის მუზეუმის მშენებლობა სოფელ მაკვანეთში, რაზეც, 2017-2018 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 465,3 ათასი ლარი დაიხარჯა;

დასრულდა ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის სრული რეაბილიტაცია, რისთვისაც, 2016-2018 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 1 მლნ 650 ლარი გამოიყო;

2020 წელს დასრულდა სოფელ ოზურგეთის კულტურის სახლის რეაბილიტაცია – 1 მლნ 256, 7 ათასი ლარი;

2021 წელს დასრულდა ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია – 18,7 მილიონი ლარი (საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“);

დასრულდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია – 1 მლნ 380 ათასი ლარი (მუნიციპალური განვითარების ფონდი).

2017-2020 წლებში განხორციელდა: აჭის დედათა მონასტრის სუბსტრუქციისა და გალავნის რეაბილიტაციის პროექტი; ვაშნარის ნაქალაქარის არქეოლოგია; სოფელ ბოხვაურის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიისა და სამრეკლოს რესტავრაციის პროექტი. ასევე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, **2020 წელს** დასრულდა ვაშნარის ნაქალაქარზე გამოვლენილი ტაძრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები არქეოლოგის ზედამხედველობით (29 894,83 ლარი);

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით შემდეგი პროექტები განხორციელდა: ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობა (5 ათასი ლარი); ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობის სარემონტო სამუშაოები (11 ათასი ლარი); შემოქმედის სამონასტრო კომპლექსის სადემონტაჟო და სარემონტო სამუშაოები (19,7 ათასი ლარი); გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობა – „ოდა-სახლის“ რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი (20 ათასი ლარი); სამუზეუმო ექსპოზიციები – გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობის – „ოდა-სახლის” ახალი სამუზეუმო სივრცის რეექსპოზიცია (15 ათასი ლარი); ვაშნარის ნაქალაქარი – არქეოლოგიური სამუშაოები (8,4 ათასი ლარი); ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალის შენობის სარემონტო სამუშაოების მე-2 ეტაპი: ეზოს კეთილმოწყობა (21,3 ათასი ლარი); „ვაშნარის“ ნაქალაქარი – არქეოლოგიური მომსახურება (14,8 ათასი ლარი); თეატრალური ფესტივალის – „ნოდარ დუმბაძის თეატრის“ ხელშეწყობა – სსიპ ოზურგეთის ა. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (30 ათასი ლარი);

2019 წელს – გურიის რეგიონის მასშტაბით, მათ შორის **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში,** კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„მივალ გურიაში მარა!“** (29,940 ლარი). კულტურის ხელშეწყობის პროგრამით, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს კონკურსის „თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარება თბილისსა და რეგიონებში“ საფუძველზე, დაფინანსდა პროექტი **„ცვალებადი პეიზაჟი“** (18 ათასი ლარი).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაშია ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, რომელსაც, 2017-2019 წლებში, 2 434 ვიზიტორი სტუმრობდა. **პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო,** მუნიციპალიტეტში მუზეუმების, სახელოვნებო სახლების, კულტურის ცენტრებისა და ბიბლიოთეკების (მასობრივ ღონისძიებებთან დაკავშირებული აქტივობები) მუშაობა, პრაქტიკულად, შეჩერებული იყო.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი, საფეხბურთო კლუბი და რაგბის კლუბი. ა(ა)იპ „სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება და** 2020 წლის ბიუჯეტით, სპორტის ხარჯები 917.8 ათასი ლარიდან 1 მლნ 940 ათას ლარამდე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კარატე, კიკბოქსინგი, კრივი, მკლავჭიდი, მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, ტაეკვონდო, კალათბურთი, ჭადრაკი, ჩოგბურთი და ფარიკაობა.

აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები (2016-2017 წ.წ.): რუსთავში კადეტთა შორის საქართველოს პირველობა, მეორე ადგილი – თემურ მიქელაძე; **მაისურაძის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,** პირველი ადგილი – საბა ცეცხლაძე და ირაკლი ძიმისტარაშვილი, მესამე ადგილი – ლუკა მიქელაძე და რობიზონ ესაძე; **ნორჩი დინამოელის საფეხბურთო ტურნირი** – წარმატებით იასპარეზა ბახვის საფეხბურთო კლუბმა; **ლანჩხუთში ფეხბურთის ჩემპიონატი** – გაიმარჯვა ბახვის საფეხბურთო გუნდმა; **თბილისის ტურნირი ფარიკაობაში,** პირველი ადგილი – გელა მჟავია, მესამე ადგილი – გიორგი

კვაჭაძე; **თბილისში საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში** – მესამე ადგილი – ლევან ქავჟარაძე; **მაისურაძის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,** მეორე ადგილი – ომარ სირაძე; **მსოფლიოს პირველობისთვის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,** მეორე ადგილი – საბა ცეცხლაძე, ირაკლი ძიმისტარაშვილი.

2019 წელს საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“ მონაწილეობდა შემდეგ ღონისძიებებში: იმერეთის რეგიონული გათამაშება – მე-3 ადგილი (2006 წელს დაბადებულთა გუნდი); აჭარა-გურიის თასის გათამაშება – 1-ლი ადგილი (2008 წელს დაბადებულთა გუნდი); გურია-სამეგრელოს თასის გათამაშება – მე-2 ადგილი (2008 წელს დაბადებულთა გუნდი); რეგიონული ლიგის დასავლეთის ზონა B ჯგუფში კლუბმა „მერცხალმა“ მე-2 ადგილი დაიკავა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: საქართველოს ჩემპიონატი – ოქრო – 1, ვერცხლი – 1, ბრინჯაო – 1. საერთაშორისო ტურნირი (სტამბოლი) – ოქრო – 1. რესპუბლიკური ტურნირი: ოქრო – 1, ვერცხლი – 1, ბრინჯაო – 1. ევროპის პირველობა (სერბთი): ოქრო – 1. ევროპის ჩემპიონატი (ბუქარესტი) ბრინჯაო – 1.

მძლეოსნობა: თბილისის ღია პირველობა – ოქრო – 1; ვერცხლი – 1; ბრინჯაო – 1.

2020 წელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოზურგეთელმა სპორტსმენებმა საფრანგეთში გამართულ ტურნირზე 1 ოქროს, ევროპის ჩემპიონატზე 1 ვერცხლის, ხოლო საქართველოს პირველობაზე 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. **მძლეოსნებმა** ღია ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 1 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

2021 წელს საფეხბურთო კლუბ „მერცხალში“ 14 მწვრთნელი, 170 სპორტსმენი და კლუბის 18 ფეხბურთელი ირიცხება.

მორაგბეთა გუნდმა „არწივები“ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში მე-4 ადგილი მოიპოვა.

ა(ა)იპ „სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ სპორტის სხვადასხვა სახეობის მიმართულებით 59 მწვრთნელი და 1 144 სპორტსმენი ირიცხება.

2014-2021 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები:

ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა №28-ში მდებარე სპორტული კომპლექსის მშენებლობა (264 ათასი ლარი); ურეკში (წვერმაღალა) ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა (49,5 ათასი ლარი); ნარუჯის სტადიონის ღობის მოწყობა (6,8 ათასი ლარი); ბახვში (ცენტრი) სტადიონის ღობის მოწყობა (2,7 ათასი ლარი); ბოხვაურში სტადიონის ღობის მოწყობა (2,6 ათასი ლარი); გურიანთის სტადიონის ღობის შეკეთება (9 ლარი); მაკვანეთის ცენტრში სტადიონის შეკეთება (16 ათასი ლარი); ჯუმათში სტადიონის მოწყობა (14,1 ათასი ლარი); ლაითურში სტადიონის შემოღობვა (4,3 ათასი ლარი); ნასაკირალის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის რეაბილიტაცია (25 ათასი ლარი); ბოხვაურში სტადიონის ღობის რეაბილიტაცია (8 ათასი ლარი); ვაკიჯვარში სტადიონის შემოღობვა (9 ათასი ლარი).

2019 წელს დასრულდა მინისტადიონების **რესტავრაცია/კეთილმოწყობა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, რაზეც, ჯამში, 144 058 ლარი დაიხარჯა; ასევე **დასრულდა** ქ. ოზურგეთში, ხელოვნურსაფარიანი მოედნის **მშენებლობა** – 111 336 ლარი; ქ. ოზურგეთში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი მოედნების მშენებლობა – 59 ათასი ლარი; ქ. ოზურგეთში ბაქრაძის ქუჩაზე მდებარე სპორტული მინიმოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები – 69 ათასი ლარი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მინი სტადიონების **სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების** საერთო ღირებულებამ 404,8 ათასი ლარი;

2020 წელს დასრულდა ანასეულში, მეცნიერების ქუჩაზე, სტადიონის მშენებლობა – 54 415 ლარი; ნატანების სტადიონის განახლება – 16 387 ლარი, ხოლო ასკანაში, დაბალი ეწერი – 3 494 ლარი; ბოხვაურის სტადიონზე ტრიბუნების მონტაჟი – 3 795 ლარი, კალათბურთის ფარების მონტაჟი – 1 483 ლარი; ნარუჯის სტადიონის სარემონტო სამუშაოები.

2020 წელს რაგბის სტადიონზე ჩატარდა 4 980 ლარის სარემონტო სამუშაოები, განახლდა საშხაპეები და გასახდელები.

2013-2020 წლებში, სპორტისა და **ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან** შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 10 შიდა ჩემპიონატი (94,3 ათასი ლარი), 1 საერთაშორისო ტურნირი (15,0 ათასი ლარი) და სასწავლო საწვრთნელი შეკრება (119,4 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,3 ათასი ლარი). სამინისტრომ მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (13,9 ათასი ლარი).

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „ახალგაზრდული ტურიზმის“ განვითარების მიზნით, 3-დღიანი ლაშქრობების ორგანიზება (მონაწილეობა მიიღო აჭარისა და გურიის რეგიონებში მცხოვრებმა 100-მა ახალგაზრდამ); „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; ინტეგრირებული ბოჩას ტურნირები, პროექტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი დღის ცენტრისა და კავშირების ბენეფიციარებმა, ჯამურად – 350-მდე ახალგაზრდამ.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები: „ბურთი და მოედანი“ და „ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა გურიაში სანერგე მეურნეობის განვითარების გზით“. ამ პროექტების მიზანი იყო: სოფლად ფეხბურთის პოპულარიზაცია, ოზურგეთის სამიზნე სოფლებში მარტივი ტიპის საფეხბურთო მოედნების მოწყობა, ბავშვთა ჯგუფების ჩამოყალიბება, მწვრთნელების მომზადება, სასწავლო-საწვრთვნელი გეგმის შედგენა, გურიის რეგიონში სოციალური საწარმოს ჩამოყალიბება და ახალგაზრდების დასაქმება.

2020 წელს ჩატარდა ოზურგეთში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა; გადამზადდა ოზურგეთის მერიის ახალგაზრდულ სამსახურში მომუშავე 2 თანამშრომელი; სტრასბურგში საერთაშორისო სემინარზე მიევლინა ოზურგეთის ახალგაზრდული სამსახურის 1 და ქობულეთში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი; სამოქალაქო სექტორის ჩართულობით შეიქმნა ოზურგეთის

ახალგაზრდული სტარტეგია და სამოქმედო გეგმა;

ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო ოზურგეთის პროფესიული სასწავლებელი „ჰორიზონტი“ და გადამზადდა 2 ახალგაზრდული მუშაკი;

2021 წლის პირველ კვარტალში ოზურგეთის ერთ-ერთ სოფელში გაიხსნა ახალგაზრდული სივრცე.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია რეაბილიტაციის მიზნით, ასკანის (თამარის) ციხე-კომპლექსის კვლევა/პროექტირება – 400 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ექვთიმე თაყაიშვილის, შალვა რადიანისა და გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმების რეაბილიტაცია, რისთვისაც 100 ათასი ლარი გამოიყოფა;
- 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტშიდაგეგმილია მემორიალური ძეგლების რეაბილიტაციის 6 პროექტი, რაზეც 75 ათასი ლარი დაიხარჯება;
- 2019-2021 წლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის 4 ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, რაზეც 40 ათასი ლარი დაიხარჯება;
- 2019-2022 წლებში დაგეგმილია ოზურგეთის სამხატვრო სკოლისა და 4 სოფლის კლუბის რეაბილიტაცია, რისთვისაც 980 ათასი ლარი გამოიყოფა;
- განხორციელდება საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა „მსოფლიოს წამყვანი მუზეუმები”;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ქ. ოზურგეთში თეატრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება მინისტადიონი;
- 2018-2022 წლებში დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი საცხენოსნო ცენტრის მოწყობა სოფელ შემოქმედში, ქალაქ ოზურგეთში „ოლიმპიური სახლის“ რემონტი და ვ. ბლაგიძის სახელობის სპორტის სასახლის რეაბილიტაცია, რაზეც, საერთო ჯამში, 113,8 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- 2021 წელს შეიქმნება და დაინერგება ოზურგეთის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები;
- ჩატარდება გურიის რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი
- ოზურგეთიდან მობილური ახალგაზრდული მუშაკის გადასამზადებელ კურსში შეირჩა 4 ადამიანი;
- 2021 წლის სექტემბრიდან 2 წლის ვადით დასაქმდება 2 მობილური ახალგაზრდული მუშაკი.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია ოზურგეთის მერობისთვის არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ, კვლავ გავაერთიანებთ ყველას, ვისაც ჩვენი ქვეყნის, ქალაქის და ულამაზესი სოფლების მომავალი აინტერესებს და მზად არის, ამაში თავისი წვლილი შეიტანოს. თავს მოვალედ ვთვლი, ჩემს მშობლიურ ქალაქს, საზოგადოებას ვემსახურო და ოზურგეთს მადლობა საქმით თუ წარმატებული პროექტებით უშუალოდ გადავუხადო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ჩემი რვაპუნქტიანი გეგმა ასეთია:

1. **დასაქმება – ახალი საინვესტიციო პროექტები, სტარტაპები ახალგაზრდებისთვის, პროფესიული განათლება;**
2. **წყალი – წყლით მომარაგების პრობლემების მოგვარება;**
3. **ტრანსპორტი – თანამედროვე სატრანსპორტო სისტემა და ავტობუსები ოზურგეთს;**
4. **ინფრასტრუქტურის განახლება – შიდა გზები, ისტორიული ადგილების რეაბილიტაცია, სკვერები და საზოგადოებრივი სივრცეები, გაზიფიკაცია, კანალიზაცია, გარემოს ადაპტირება;**
5. **ღირსეული საცხოვრისი – საბინაო პრობლემების მოგვარება;**
6. **ეკოლოგია და გარემოს დაცვა – ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა;**
7. **სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა – 4 ტრადიციული პროდუქტის წარმოების ხელშეწყობა;**
8. **სპორტი ყველასათვის – სტადიონები და სპორტული წრეები ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის.**

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.